1930

№ 18 (42) 30 სექტემბერი, 1930 წ. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

# დროშა



## სოციალიზმს ვაშენებთ

# ხუთწლედი ოთხწელიწადში







## საუკეთესო დამკვრელები





## მშენებლობის ენთუზიასტები



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12 — 2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.



# ახალ ბრძოლისაკენ სოც. მშენებლობის ფრონტზე



როგორი სახე ექნება „დნეპროსტროი"-ს 1930—31 წ.

# ავაგოთ დირიჟაბლი „პრავდა"

საბჭოთა საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საბჭოთა საჰაერო ფლოტის მშენებლობისადმი. ამას ნათლად ამტკიცებს ის, რომ თავდაცვა-ავიაქიმის გარშემო დარაზმულია წევრთა მრავალმილიონიანი მასა, ამას ამტკიცებს აგრეთვე ასეული ათასი და მილიონი მანეთები, ნებაყოფილობის საფუძველზე შეკრებილი მუშათა და მშრომელ გლეხთა შორის საბჭოთა საჰაერო ფლოტის ასაგებად.

რამდენიმე წელიწადია უკვე, რაც კომკავშირმა და თავდაცვა-ავიაქიმის აქტივმა წამოაყენა საბჭოთა დირიჟაბლების მშენებლობის საკითხი. კომკავშირმა ჩვეულის ენერგიით ეს საკითხი პრაქტიკულად გადასჭრა და ამ ერთი თვის წინად მოსკოვის მშრომელებმა იხილეს პირველი საბჭოთა დირიჟაბლი „კომსომოლსკაია პრავდა". კომკავშირის თაოსნობამ, ეჭვს გარეშეა, ხელი შეუწყო დირიჟაბლების მშენებლობის საკითხისადმი ინტერესის გაღვივებას საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეებში.

ეს ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა თანამედროვე საჰაერო გიგანტის —„გრაფ ცეპელინის" სტუმრობამ მოსკოვში. ამ უდიდესი ინტერესით აიხსნება ის ენტუზიაზმი, რომლითაც პროლეტარული საზოგადოებრიობა გამოეხმაურა ჩვენი პარტიის ცენტრ. ორგანოს თანამშრომელთა კოლექტივის მოწოდებას „პრავდა"-ს სახელობის დირიჟაბლის აგების შესახებ.

დირიჟაბლების მშენებლობისადმი ინტერესის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ჩვენი მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ჰაერზე მსუბუქი აპარატებით ფრენის მოკლე ისტორიასთან გაცნობა.

—:—

მიუხედავათ იმისა, რომ ჰაერზე მსუბუქი აპარატებით ფრენის ისტორიას შორეულ წარსულში მივყევართ, მისი პრაქტიკულად განხორციელების ისტორია, ეჭვს გარეშეა, უნდა დავიწყოთ 1883 წლიდან, როცა ძმ. მონგოლფიეებმა ააგეს პირველი აეროსტატი და მოახდინეს საცდელი გაფრენა.



დოქტორ ეკნერი — დირიჟაბლის ხელმძღვანელი

ჩვენ არ შევუდგებით აქ აერონავტიკის ენტუზიასტთა მთელი გალერეის ჩამოთვლას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს იყო აერონავტიკის პირველი ნაბიჯები. ადამიანს შეეძლო მოეწესრიგებია მხოლოდ აფრენა და დაშვება, მიმართულების მიმცემი კი იყო ქარი. ერთი საუკუნე გავიდა, სანამ ადამიანი შესძლებდა აეროსტატის მართვას. ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. 1884 წ. საფრანგეთის არმიის ოფიცერმა რენარმა და კრებსმა მათ მიერ აგებულ დირიჟაბლზე „La France" დადგეს 9 ძალიანი ელექტრო-მოტორი. ამ დირიჟაბლს შეეძლო 20 კილომეტრის გავლა საათში. ეს ძლიერ უმნიშვნელო სისწრაფე არის (ახლანდელი თვალსაზრისით), მაგრამ იმ დროისათვის ეს დიდი მიღწევა იყო.

შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი დირიჟაბლების მშენებლობის განვითარებაში გადადგა გერმანელმა ინჟინერმა **ცეპელინმა**, რომელმაც ჯერ კიდევ 1895 წელს წარუდგინა გერმანიის მთავრობას თავისი კონსტრუქციის დირიჟაბლის პროექტი, რომელიც არ მიიღეს. ამის შემდეგ, 1908 წლამდე, გრ. ცეპელინი, მთავრობის დახმარების გარეშე განაგრძობდა დირიჟაბლების მშენებლობას და აწყობდა საცდელ გაფრენას. მისმა დაუღალავმა ენერგიამ და სიმტკიცემ დასძლია მთავრობის წრეების უარყოფითი დამოკიდებულობა. 1908 წ., მთავრობასთან შეთანხმებით, მან მოაწყო გადაფრენა თავისი დირიჟაბლით ფრიდრიხსჰაფენიდან მაინცში. ამ დირიჟაბლის საშუალო სისწრაფე საათში 35 კილომეტრს უდრიდა. დირიჟაბლი წარმატებით გადაფრინდა მაინცში. უკან დაბრუნებისას მას გრიგალმა მოუსწრო და დაიღუპა.

ამ გადაფრენამ ხელი შეუწყო დირიჟაბლების მშენებლობისადმი ინტერესის გაძლიერებას გერმანიის საზოგადოებრივ წრეებში. ხელიმოწერამ, რომელიც იმავე წელს მოეწყო, ცეპელინს 8.000.000 მარკა მისცა მისი საქმის გასაგრძელებლად. ამის შემდეგ დირიჟაბლების მშენებლობა მტკიცე ნიადაგზე იქნა დაყენებული.

ომის დროს დირიჟაბლებმა დიდი სამსახური გაუწიეს გერმანიის სარდლობას. მართალია, დირიჟაბლების მიერ მოკავშირეებისათვის მიყენებული ზარალი არც ისე დიდია, მაგრამ ცეპელინების თავდასხმამ ლონდონზე, ბუქარესტზე და სხვ. ქალაქებზე, აუწერელი პანიკა გამოიწვია მშვი-



ცეპელინი დაეშვა მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე სრულ 12 საათზე.



დირიჟაბლი ცეპელინი გამოჩნდა 9 საათზე მოსკოვზე.

დობიან მოსახლეობაში. მტკიცება არ უნდა, რომ ზოგჯერ „მორალურ ზიანსაც" უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ დირიჟაბლებმა უსათუოდ უდიდესი როლი ითამაშეს.

გერმანიის დამარცხებას ომში შედეგათ მოჰყვა დირიჟაბლების მშენებლობის თითქმის სრული განადგურება. დირიჟაბლების საშენებელი ცეხების უმრავლესობა განადგურებული იქნა, დირიჟაბლების ნაწილი მოკავშირეებმა წაიღეს კონტრიბუციის ანგარიშში, ნაწილი კი თვით გერმანელებმა გაანადგურეს, რომ მოკავშირეებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

ვერსალის ზავის დადებიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ გერმანელებმა მოახერხეს დირიჟაბლების მშენებლობის თანდათანობით აღდგენა. შეერთებული შტატებისათვის რეპარაციების ანგარიშში დირიჟაბლის აგების საბაბით მათ თანდათანობით აღადგინეს ფრიდრიხსჰაფენის სახელოსნოები, რომლებიც ამჟამად სავსებით აღდგენილია.



დირიჟაბლი ცეპელინი მოსკოვის აეროდრომზე, გადაღებულია აეროპლანიდან

უკანასკნელ წლებში ინგლისი და შეერთებული შტატები აწყობენ საკუთარ დირიჟაბლების მშენებლობას და სცდილობენ აავონ დირიჟაბლი—გიგანტები. მაგრამ დღემდე დირიჟაბლების მშენებლობის ტეხნიკაში უპირატესობა უსათუოდ გერმანიას რჩება.

რუსეთში 1910 წ. გენ. კირპიჩევის კომისიამ ააგო 4.000 კუბ. მეტრიანი დირიჟაბლი, მაგრამ დირიჟაბლების მშენებლობის განვითარებისათვის რუსეთში მაშინ არაფერი გაკეთებულა.

--:—

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს დირიჟაბლების მშენებლობის განვითარებას საბჭოთა კავშირისათვის, მისი თვალუწვდენი ტერიტორიის და უგზოობის პირობებში. საკუთარი დირიჟაბლების მშენებლობის განვითარება საშუალებას მოგვცემს მჭიდროთ დაუკავშიროთ ერთმანეთს საბჭოთა კავშირის უშორესი კუთხეები, კიდევ უფრო სწრაფად წავსწიოთ წინ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარება.

„პრავდა"-ს მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მშრომელ მასებში. რამდენიმე დღეში ათეული ათასი მანეთები იქნა შეგროვილი. ყველა ფაბრიკა-ქარხნებში ეწყობა ხელისშემწყობი ჯგუფები და ტარდება თანხების შეგროვების კამპანია. ყოველივე ეს თავდებია იმის, რომ დირიჟაბლ „პრავდა"-ს ავაგებთ მოკლე ხანში და მას მოჰყვება ათეული და ასეული საბჭოთა დირიჟაბლები.

**ნ. რ—ძე.**



რენარის და კრებსის დირიჟაბლი „ლა ფრანს".



წყალტუბოში ახალი დასასვენებელი სახლი.



4 მარტის სახელობის სანატორიუმი, ყოფილი „აზრა" სოხუმში.



ცინკის საღნობი ბათომის ცინკის ქარხანაში. გზების მშენებლობა აფხაზეთში. გზის გაყვანა ლითონის გადმოსაზიდად.

# „ხუთწლედი ოთხ წელში"

მძლე ინდუსტრიის
მესამე რგოლი
ცეცხლში წრთობილი
გამოიჭედა!

კომუნიზმისკენ
მივდივართ ბრძოლით,—
ვინც ხელს შეგვიშლის
უტარებთ დედას!

ჩვენ დამარცხება
არ გვიწერია,
თვითკრიტიკისაც
არასდროს გვრცხვენის;

ბევრი თავდასხმა
მოვიგერიეთ
მემარჯვენეთა
და „მემარცხენის".

ჩვენი კუნთები
გრდემლის ზანზარით
უფრო მაგრდება,
უფრო კაჟდება;

მწვერვალებისკენ
მივალთ სიჩქარით,
მალე ხუთწლედიც
არიჟრაჟდება!

ამხანაგებო!
მკლავები მაღლა!
გაჩაღდეს შრომა
ხალისიანი!

ენტუზიაზმა
იფეთქოს ნაღმათ,
შასრულდეს დროზე
გეგმა მთლიანი!

ამხანაგებო!
შორს ჩვენგან დაღლა!
ხუთწლედის გეგმა
ოთხწელში ვძლიოთ!

შრომის ნაყოფი
ავწიოთ მაღლა
და გადავძახოთ
ბებერ მსოფლიოს,

რომ ჩვენს მსვლელობას
ვერ შეაჩერებს,
რაც უნდა ვესლი
გადმოანთხიოს!

**გ . ქუჩიშვილი.**

# საბჭოთა ცეილონი

საქართველოს ჩაის კულტურის განვითარების დასაწყისი ეკუთვნის 1895 წელს. ჩინეთიდან ჩამოტანილმა ჩაის ბუჩქმა საუცხოვოდ იხარა აჭარისტანის თიხნარზე, შეეგუა სუბტროპიკების კლიმატიურ პირობებს და მტკიცე ადგილი დაიკავა სხვა კულტურებს შორის. ჩაის ნათესებმა ომისწინა დროს მიაღწია 833 ჰექტარს. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაის კულტურას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, რა მიზნითაც დაარსდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი" და უკვე 1929 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოში გაიზარდა 7.841 ჰექტარამდე, რაც ჩვენში ჩაის კულტურის განვითარების სწრაფი ტემპების საუკეთესო მაჩვენებელია.

ჩაქვა გახდა ჩინური ჩაის ბუჩქის მეორე სამშობლოდ. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები გადაჭიმულია 500 ჰექტარზე და ყოველ წლიურად ოთხჯერ იძლევიან მოსავალს. ასეული მუშა-ქალი დილიდანვე იწყებენ მუშაობას პლანტაციებზე, აგროვებენ მაღალ კალათებში სურნელოვან ფურცელს და აგზავნიან ჩაის ახალ ფაბრიკაში. ეს ფაბრიკა აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით, მომარაგებულია საუკეთესო მოწყობილობით და ხუთწლედის ბოლოს ყოველწლიურად გამოუშვებს 1.200 ათას კილოგრამ ჩაის.

პირველად ჩაის ხუთწლედი განსაზღვრული იყო 5.000 ჰექტარით. ეს გეგმა, ისევე როგორც შემდეგი, 20.000 ჰექტარის რაოდენობით, უარყოფილ იქნა სპეციალისტების მუშაობის შედეგად, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ჩვენ უფრო მეტი შესაძლებლობები გვაქვს და ამჟამად ჩაის ხუთწლედი განსაზღვრულია



ჩაქვა. ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელი ცეხი.

60.000 ჰექტარით. ეს გეგმა უკვე განხორციელებულია ჩაქვაში, ოზურგეთის, ზუგდიდის და აფხაზეთის რაიონებში. ხუთწლედის მნიშვნელობა იქიდანაც სჩანს, რომ 10 მილ. მანეთამდე განთავისუფლდება საზღვარგარეთიდან ჩაის შემოტანისაგან, ხოლო ჩაის სრული აკრეფის დროს ყოველწლიური ეკონომია 30—35 მილ. მანეთს შეადგენს.

ჩაის მეურნეობაში ჩაბმულ მეურნეობათა რიცხვმა ხუთწლედის მეორე წლისათვის მიაღწია 17.744-ს, ხოლო ჯერ კიდევ 1926 წელს მხოლოდ 2.000 მეურნეობა იყო. ამ მეურნეობათა სამი მეოთხედი ღარიბებია, დანარჩენი—საშუალო. ჩაის კულტურის განვითარება საერთოდ მოიცავს 90.000 გლეხურ მეურნეობას, ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოსათვის მისი აუარებელი ზედმეტი მუშა-ხელით.

ჩაის ფაბრიკების გადაკეთებამ, ჩაის დამუშავების ახალ მეთოდების შემოღებამ და სხვა ღონისძიებებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს დამზადებული ჩაის ხარისხი. ჩაის ნიმუშების შეფასებათ, ჩვენი ჩაი გათანაბრებულია ინდოეთის და ცეილონის საშუალო ხარისხის ჩაისთან. ჩაის კულტურული განვითარებისათვის მტკიცე სამეცნიერო საფუძვლის შესაქმნელად ხუთწლიანი გეგმა ისახავს ამიერ-კავკასიაში სამეცნიერო-ტეხნიკური ცენტრის მოწყობას, სადაც სამუშაოდ მოწვეული იქნებიან საბჭოთა და უცხოელი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

ხუთწლედის განმავლობაში აიგება ჩაის 22 ფაბრიკა. კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 22,5 მილ. მანეთი. ჩაის კულტურისათვის კადრების მოსამზადებლად დასახულია ორი დიდი სპეციალური ტეხნიკუმის მოწყობა.

ჩაის ხუთწლედი მოითხოვს ასეულ ათას კილო ჩაის თესლს, რომელიც აქამდე შემოგვქონდა ჩინეთიდან და ინგლისისა და ჰოლანდიის პლანტაციებიდან. თესლი თავისი სიფაქიზის გამო 40 პროცენტით გაფუჭებული მოდიოდა, რაც ზრდიდა თვითღირებულებას. ამჟამად დასახულია ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის სათესლე მეურნეობად გადაკეთება.

საქართველოს ჩაის მრეწველობის წინაშე დიდი პერსპექტივები და შესაძლებლობაა. ჩაის ხუთწლედის შესრულება საგრძნობლად გაგვანთავისუფლებს უცხოეთის ჩაის ფირმებთან დამოკიდებულებისაგან, შეგვინახავს ვალიუტას და კულტურას შეიტანს აჭარისტანის და დასავლეთ საქართველოს მემინდვრეობის მეურნეობაში.



ჩაქვა. ჩაის ახალ ფაბრიკის საროლერო ცეხი.

ედ. შმერლინგი.

# საქართველოს ნავთი

უკანასკნელ ხანებში, ნავთის საწარმოო მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, ჩვენი კავშირის სხვადასხვა რაიონებში დაიწყო ნავთის დაუმუშავებელი რაიონების გამოკვლევა და ექსპლოატაცია (სახალინი, ურალი).

საქართველოს ნავთის ბუდობების გამოკვლევას მხოლოდ ბოლო ხანებში მიექცა სათანადო ყურადღება; თუმცა ნავთის მოპოვება კუსტარული ხერხებით,— მაგ., შირაქში—1877 წლიდან სწარმოებდა, მაგრამ მოპოვებული ნავთის რაოდენობა, რასაკვირველია, მეტად მცირე იყო. ოფიციალური ცნობებით, პატარა შირაქში 1877 წლიდან 1887 წლამდე მოპოვებული იქნა—81.641 ტონა ნავთი; 1888 წლიდან 1896 წლამდე—3548,5 ტონა; ხოლო 1923 წელს ს. მაჟ. ს. სამთო განყოფილებამ 10 თვის განმავლობაში ოთხ ჭაბურღილიდან და ერთი ჭიდან—141 ტონა ნავთი მიიღო.

ნავთის კუსტარული მოპოვება სხვა რაიონებშიაც სწარმოებდა (ნავთლუღი, ილდოყანი); ხოლო ზოგ რაიონებში კუსტარული მოპოვებაც კი არ სწარმოებდა.

სულ საქართველოში 39 ნავთის ბუდობაა, აქედან 11 მათგანი შედარებით ძნელად გამოსაკვლევია, მათი ტექტონიკის გამო; უფრო ადვილი გამოსაკვლევია დანარჩენი 28 ბუდობა. ამ ოცდარვა ბუდობიდან ოთხი გურიაშია (ომფარეთი, გულიანი, სამღვთოსავანე და ნატანები), ერთი ქუთაისის მაზრაში (ბაღდადი); ერთი გორის მაზრაში (ატენისხევი), ერთი ილდოყანში; ხუთი თელავის მაზრაში (ქისის ხევი, შუა მთა, ქისტაური, ზემოხოდაშენი და ბოჩორმა); ექვსი თბილისის მახლობლად (ნავთლუღი, ნორიო, მარტყოფი, მუხროვანი, უჯარმა და ფამბალ წყალი) და ათიც სიღნაღის მაზრაში (მირზაანი, პატარა შირაქი, კილაკუპრა, მლაშის ხევი, ფხოველი, გურჯაანი, ჭერემი, ელდარი, ჩათმა და ბოგაბე).

ნავთის ხარისხის მხრივ ღირსშესანიშნავია—მირზაანის, პატარა შირაქის, ფხოველის, კილაკუპრასი, ზემო ხოდაშენის და ილდოყანის მძიმე ნავთი. ამ ბუდობებზე მიქცეულია „საქართველოს ნავთის" და სსრ. ქ-ს გეოლკომის მთავარი ყურადღება.

თუმცა მთავარი ყურადღება „საქართველოს ნავთისა"—ამ რაიონზეა მიქცეული, მაგრამ მუშაობა გურიასა და ნავთლუღშიაც სწარმოებს;

ექსპლოატაციას მუშაობას „საქართველოს ნავთი" შირაქის, მირზაანის და კილაკუპრაში აწარმოებს. აქედან—პატარა შირაქსა და მირზაანში მუშაობა უკვე ფართო მასშტაბით გაშლილი; ხოლო კილაკუპრაში მხოლოდ საცდელ-სადაზვერვო მუშაობა სწარმოებს;

პარალელურად „საქართველოს ნავთისა" კვლევა ძიებას—ს. ს. რ. კ-ს გეოლოგიური კომიტეტიც აწარმოებს.

„საქ. ნავთის" შირაქის რაიონის (ცენტრი—სოფელი წითელი წყარო, წითელ წყაროშია სამუშაოების სამმართველო და მატერიალური ბაზა; წითელი წყარო 25 კილომეტრითაა დაშორებული, რკინის გზის სადგურ—წნორის წყალს; წნორიდან—წითელ-წყარომდე თითქმის ყოველდღე დადის „საქ. ნავთის" ავტომობილი; ყოველდღე მოდის ახალი პარტიები მუშებისა—კავშირის სხვადასხვა ნავთის რაიონებიდან; ყოველდღე მოდის იმპორტული მასალა და წნორის პატარა სადგური ვეღარ იტევს მას; ეხლა უკვე დაწყებულია სამუშაოები სადგურის გასაფართოებლად. მთელ ამ ატარებულ მასალას „საქ. ნავთის" ავტომობილები და ტრაქტორები ეზიდებიან. შოსე არ არის. საურმე გზა დიდი ხნის შეუკეთებელია. მუშაობა ასეთ გზაზე ძნელია. მასალის მიწოდების შეფერხების გამო ბევრი სამუშაო ყოვნდება.




ამ სიძნელის თავიდან ასაცილებლად საქ. გზების სამმართველო შეუდგა შოსეს გაყვანას, რომელიც ა. წ. ნოემბერში უნდა დამთავრდეს. საერთოდ „საქ. ნავთმა" ძალიან გამოაცოცხლა ეს რაიონი.

წითელ წყაროში—წამდაუწუმ დაჰქრიან ავტომობილები, გუგუნებენ „დაიმლერები" და „ფორდზონები" და ყველგან საქმიანი ატმოსფეროა. სამუშაოების ადგილებისკენ მთელი ეშელონები მიიჭრება. ტრაქტორებს უკან 3-4 პლატფორმა უბია.

„საქ. ნავთის" სახელოსნოები, საწყობები, და საერთო საცხოვრებლები ყოფილ ტვერის პოლკის ყაზარმებშია მოთავსებული; კეთდება მექანიკური სახელოსნო და ელსადგური, ეხლადან ალმასკომის ელსადგური ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ცენტრი—სამმართველო—აქ განუწყვეტლად ისმის საველე ტელეფონის წკარუნი და ავტომობილების გუგუნი.

დილის ექვს საათზე ავტომობილი თავისი სამმართველოდან გაივლის წინებული მარშრუტით—მირზაანი - პატარა შირაქი. მირზაანი წითელ წყაროდან 10 კილომეტრის მანძილზეა — სამხრეთისაკენ.

ფორდის ნახევრად სამარგო ავტომობილი მხიარულად გუგუნებს. ჩემს გვერდით უფროსი ინჟინერი - გეოლოგი — ა. გიგიმყრელია. იგი მიამბობს მირზაანის ნავთის ბუდობზე. წამდაუწუმ ისმის უცხოობა სიტყვები: „ნავთის ჰორიზონტი" და სხვ. მას უხდება ყველაფერის ახსნა.

— „მირზაანში მუშაობა იტალო - ბელგიურმა საზოგადოებამ დაიწყო. მის მიერაა აგებული ჭაბურღილი № 1. სიღრმე ჭაბურღილისა 540 მეტრი; 1930 წლის მარტში მოხდა ნავთის ამოხეთქვა, რის გამოც დახიანდა მილები, ეხლა მიმდინარეობს ჭაბურღილის რემონტი. მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებს. მირზაანის რაიონის სამუშაოების გათვალისწინებული მოედანი 680-დან 1300-ჰექტარამდეა. ამ ფართობზე 12 ჭაბურღილია, ეხლა სწარმოებს მათი მოწყობა, ბურღვა მხოლოდ რამოდენიმე მათგანში მიმდინარეობს"...

ავტომობილი უცებ მოუხვევს ბორძიკდება და ქვევით ეშვება. ჩვენს წინ — მირზაანის ხევია. აქ უკვე პატარა ქალაქია გაშენებული: ელსადგური, სასადილო, სამჭედლოები, საწყობები. მირზაანის ბუდობზე 300-ზე მეტი კაცი მუშაობს; უფრო ქვევით — ხევში ჩანს ჭაბურღილი № 1. გაშავებული ნავთისგან — მისგან 500 მეტრის დაშორებით ოთხიოდ ჭაბურღილია, გარშემო სერებზე დანარჩენი ჭაბურღილებია გაბნეული; № 1-ში მუშაობა არა სწარმოებს, ხოლო № 2-ში გუგუნებს მანქანა, ბურღი წამდაუწუმ ეშვება მიწის სიღრმეში. მთელი ჭაბურღილი ტოკავს და გუგუნებს... ჭაბურღილიდან გამოვდივართ — გუგუნი სწყდება. ვეშვებით ხევ-ხევ ქვევითკენ. მირზაანის ხევის ფსკერზე 28 ნავთიანარიანი ფენა იკვეთება და ამ განაკვეთში გამოდის ნავთი. ნავთი შავია და სქელი, მიწა ნავთიანია და აქა-იქ პატარა გუბეებია ნავთისა.

ნავთი იპყრობს ყურადღებას და რაც აქედან გამომდინარ გაჩერო ამ ბუდობას ნავთის მოძალება.

მივდივართ პატარა შირაქისაკენ. ირგვლივ ველები იშლება. მივდივართ შირაქის საბჭოთა მეურნეობის გვერდით, მალე ჩნდება მაღალი რკინის ჭაბურღილი „სოფლიშვილი" ერთი კილომეტრი და პატარა შირაქის სამუშაოებზე ჩავდივართ — იგი წლებში ალწეულ ბორცვების პატარა ქალაქს ჰგავს. ირგვლივ ველები — აქ კი გორაკის ძირში რამოდენიმე სახლია გაშენებული, იქვე ხუთასიოდე მეტრის მანძილზე — დანგრეული პატარა ქარხანაა. მთის ფერდობზე ძილებით შერთებული ორმოებია, სადაც ნავთი გროვდება; ეხლა იგი მიტოვებულია. ვათვალიერებთ ჭაბურღილ № 2-ს — მაგრამ აქაც, რაღაც დაზიანების გამო, ბურღი არ მუშაობს...

წითელ წყაროში ადრე ვბრუნდებით. ჯერ კიდევ პირველი საათია, ვსარგებლობთ ამით და კილაკუპრაში მივდივართ.

კილაკუპრა 31 კილომეტრზეა წითელ წყაროდან. ნავთის გამოსასვლელები აქ მეტად საინტერესოა. ნავთი ამოდის ტალახის ვულკანებიდან ტალახთან ერთად; ნავთის გუბეებია ირგვლივ. კილაკუპრაში ჯერ მხოლოდ გამოკვლევა სწარმოებს.

**კ. ჯავრიშვილი**

# ახალი ძალები წითელ არმიას

1908 წელში დაბადებული ახალგაზრდები მიდიან წითელ ჯარში. მათ უნდა შესცვალონ ძველი მსახური წითელარმიელები, რომლებმაც დაჰყვეს წითელ ყაზარმაში ორი წელი და მოიხადეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში დაიწყო საქართველოს ყველა რაიონებში. ახალგაზრდობა ორგანიზებულად მიემართება წითელი ყაზარმისაკენ, რომ შეისწავლოს იარაღის ხმარება და შემდეგ გეგმიურად დაიცვას სოციალისტური მშენებლობის ქვეყანა.

ძირიან ფუძიანად შეცვლილია ძველად არსებული ჯარში გაწვევის სისტემა, სავსებით აღმოფხვრილია ამ სისტემიდან სოლდათობის ყოველი ნაშთი. პირიქით, ჯარში გაწვევა დღეს წარმოადგენს უდიდეს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ კამპანიას, რომელსაც მშრომელი მოსახლეობა ხვდება დემონსტრაციებით, ზეიმით.

თბილისის შესაკრები პუნქტი ყოველდღე სავსეა ჯარში გასაწვევი ახალგაზრდებით, რომლებიც ჩამოსულან დილომიდან, ავჭალიდან, მცხეთიდან, ირწმო-თიანეთის მაზრიდან. არც ერთ გასაწვევს თან არ ახლავს დედ-მამა, არც ნათესავი.

— ბავშვი ვარ, დედა წამომყოლოდა?— იძახის ქართლიანი შაქრო გელდიაშვილი—განა არ იციან მშობლებმა, რომ წითელ ჯარში მივდივარ?

სოფელმა იცის, სადაც გზავნის იგი ახალგაზრდობას. გლეხობა ზეიმით აცილებს ახალწვეულებს წითელ ყაზარმისაკენ. მოხუცები არიგებენ ახალგაზრდებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ისინი ყაზარმაში, რომ დაიმსახურონ თავისი უფროსების სიყვარული და პატივისცემა და საუკეთესოდ შეისწავლონ სამხედრო საქმე.

ახალგაზრდები, თავისი მხრით, იძლევიან სიტყვას, რომ დასძლევენ ყოველივე სიძნელეს და იქნებიან საუკეთესო მებრძოლები.

წლევანდელი გაწვევა დიდათ განსხვავდება გასულ წლების გაწვევისაგან. წლევანდელს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დროზე შეუდგა სამზადისს გაწვევისათვის, რომელმაც, უეჭველია, გამოიღო თავისი შედეგი.

საქართველოს მთელი მშრომელები მომზადებული შეხვდნენ გაწვევის კამპანიას. გაწვევაში ჩაბმულნი არიან პარტიული, კომკავშირის, პროფესიონალური, კოოპერატიული და თითქმის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებები.



ახალწვეული ეფრემა ნარიმანიძე.

წლეულ საქართველოს მშრომელები აძლევენ წითელ ჯარს წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდობის დიდ პროცენტს, ზოგიერთი რაიონებში კი, მაგ.: გურიაში, აჭარისტანში, გასაწვევთა შორის არ არის არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ახალგაზრდა.

გასაწვევნი ჯანმრთელნი არიან, ყველანი კარგად გამოიყურებიან, შემაღლად. საექიმო შემოწმების დროს, ძალიან მცირე რიცხვი თავისუფლდება სამხედრო სამსახურისაგან ცუდი ჯანმრთელობის მხრივ. 1908 წელში დაბადებულნი იქნებიან საუკეთესო მებრძოლნი და ადვილად იტანენ სამხედრო სამსახურის სიძნელეებს.

მიუხედავად ამისა, გამწვევი კომისია დიდის ყურადღებით ამოწმებს ყოველ გასაწვევს. წითელ ჯარში უნდა მოხვდნენ მხოლოდ და მხოლოდ სავსებით ჯანმრთელი ახალგაზრდები, რომლებიც ადვილად იტანენ სიცივეს, სიცხეს, სიმშილს, წყურვილს და სხვა გაჭირვებას. აგრეთვე წითელ არმიელს უნდა ჰქონდეს კარგი ფეხები, რომ შეეძლოს, საჭირო დროს, ზიდოს ბარგი და გაიაროს დაუღალავად დიდი მანძილი. სუსტი ჯანმრთელობის ახალგაზრდა არ გამოდგება წითელი ჯარისათვის. ექიმები დიდ ხანს სინჯავენ გასაწვევს და, თუ ვინიცობაა, მათ ეჭვი ეპარებათ რამეში, გზავნიან შესამოწმებლად საავადმყოფოში.

წითელი არმია—მუშების და გლეხების არმიაა, იარაღის ტარების უფლება აქვთ მხოლოდ მშრომელთ. არამშრომელ ელემენტებს საბჭოთა ხელისუფლება ვერ ანდობს იარაღს.

წითელი საზღვრების დაცვის უფლება აქვთ მხოლოდ მშრომელებს.

გაწვევის დაწყების პირველ დღიდანვე უდიდესი ყურადღება ექცეოდა ახალწვეულთა შერჩევას, მათი რიგების გაწმენდას, რომ წითელ ჯარში არ მოხვედრილიყო არც ერთი ჩვენთვის უცხო და მიუღებელი ელემენტი, ამ საქმეში ჩაბმულნი იყვნენ თვით გასაწვევი ახალგაზრდები, რომლებიც ამჟღავნებდნენ უცხო ელემენტებს. გაწვევის დროსაც გრძელდება გასაწვევთა გაწმენდა. უცხო ელემენტები სცდილობენ როგორმე მოხვდნენ წითელ ჯარში. მაგრამ, საბჭოთა ხელისუფლების ფხიზელ თვალს არ გამოეპარება მტრების არც ერთი ნაბიჯი: წითელი ყაზარმის კარები დახშულია მათთვის, ვინც სცდილობს შეაყენოს საბჭოთა ხელისუფლებას რაიმე ზიანი.

სიხარულით და მხიარული სიმღერით გამოცხადდნენ გაწვევაზე მთიელი ახალგაზრდები ყაზბეგიდან, ოსეთიდან, გუდამაყარიდან, ფშავ-ხევსურეთიდან. ჩამოიტანეს მთიდან ახალი ლექსები, რომ მოიხადონ თავისი ვალი საბჭოთა ქვეყნის წინაშე.

ეფრემა ნარიმანიძემ დაიგვიანა გაწვევაზე. მან ვერ მოუსწრო გამწვევი კომისიას ფანჯარაში, რადგან იგი იყო ცხვარში სანგალში

— ცხვრი მყვანდა სანგალში, მარტო ვი-



გამწვევი კომისიის წევრები ესაუბრებიან ჯარში გასაწვევ ახალგაზრდას.



ახალწვეულის შემოწმება.

ყავი, ძმას ვულოდი. მოვიდა ჩემი ძმა და მე გამოვცხადე, მაგრამ ტამბაფერში ეურვის ენაზე, მითხრეს თურმეის წაიყვანეთო, მე აქეთ გამოვუშვითა.

ეფრემ ნარიმანიძე ჯანიანი ახალგაზრდაა. მთელი თავისი სიცოცხლე მან გაატარა ცხვარში—ზაფხულში მთაში, ზამთარში კი ჩრდილოეთ-კავკასიის ველ-მინდორზე. მას უნახავს კავკავი, მოზდოკი, გაწვეულია გროზნოზე.

ეფრემ ნარიმანიძე ჯანიანი ახალგაზრდაა, სოლიდ და გულით უნდა დიდი ქალაქის ნახვა. ზეპირი რამ გაუგონია თბილისზე ჭორების,

— რაღაც უცნაურ რამეებს ლაპარაკობენ ამ ქალაქზე და მინდა ჩემი თვალით ვნახო.

მაგრამ, ყველაზე ძალიან ის უხარიან ეფრემს, რომ იგი ჩარიცხეს ქართულ წითელ ჯარის მეზამე ლეგიონში. აქ იგი შეისწავლის წერა-კითხვას, სამხედრო საქმეს, ისწავლის სროლას, თუმც ეხლაც კარგად ისვრის.

— ეფრემ? ძალიან გინდა ჯარში წასვლა?—ვეკითხები ეფრემს.

— რატომაც არ მინდა. გონჯი არა ვარ



გაწვეულის შემოწმება.

ხელი კარგი მაქვს და ფეხი, სროლაც კარგა ვიცი.

ეფრემი მხიარულად არის, თავისუფლად და ამაყად დასეირნობს დუშეთის შესაკრებ პუნქტის ეზოში, იგი გრძნობს, რომ მას საბჭოთა ხელისუფლებამ დააკისრა უდიდესი მოვალეობა—წითელ საზღვრების დაცვა და ეფრემ ნარიმანიძე თავის ვალს პატიოსნად მოიხდის.

მ. ხ.

ხალხთა ბიბლიოთეკა თბილისი



საბჭოთა მეურნეობაში ფორთოხლის კრეფა



სტალინის სახ. ქარხნის დამკვრელი ბრ ჟა

ოსტაპ ვიშნია

# სოფელი, როგორიც იგი არის

## მგზავრის შთაბეჭდილება*)

დავიწყოთ ტრადიციულად; როგორც დაიწყებს ხოლმე ყოველი პატიოსანი „საკუთარი კორესპონდენტი“.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ყოველი „საკუთარი კორესპონდენტი“ თავის მგზავრის შთაბეჭდილებას სწერს ერთის, ან ორი კვირით ადრე გამგზავრებამდე, მე კი ვერ მოვასწარ — ვსწერ დაბრუნების შემდეგ „კაპიტალური რემონტის“ ბინაზე.

ვტოვებ, თუ როგორ ვიმგზავრე სადგურამდე. ეს იმდენად საინტერესო არ არის.

შემდეგ იწყება შთაბეჭდილება.

უპირველესად ჩემზე შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ორმა შეკითხვამ, რომელიც მომცა ვაგონის კიბეზე მდგომმა სქელმა დედაკაცმა.

პირველი კითხვა იყო: „სად მიძვრები?“, ხოლო მეორე: „თავში დაკრული ხომ არ ხარო?“.

მე ზრდილობიანად ვუპასუხე, რომ მე ვაგონში შევძვრები და თავიც ნორმალურად მაქვს!

ამ პასუხზე დედაკაცმა რეზოლუცია გამოიტანა:

— მაგას აქ ეშმაკები მოათრევენო!

მაგრამ, ემადლობ ეშმაკებს, რომ როგორც იქნა, ვაგონში შემათრიეს. ხუთმა თუ ექვსმა უფრო სქელმა დედაკაცმა მუჯლუგუნი მიმკრეს — შემკრეს, მეც მოვიკუნტე და კუთხეში ჩემს ტომარაზე დავეგდე.

სანამ მესამე ზარს დარეკავდნენ, სუნთქვამ ათჯერ უფრო მიმატა, და მაჯისცემამაც მოუხშირა, მაგრამ მედიცინიდან ვიცოდი, რომ მარაგი კიდევ მქონდა და გული არ გამტეხია. რომ დავიყვირო, სქელი დედაკაცი წაიბურტყუნებდა: „ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო“. ვიყავ სულგანაბული.—

—:—

ნაუ! ნაუ! ნაუ! დარეკეს!

— ოხ. (ეს მე ამოვიოხრე).

ვიღაცამ მკრა მუჯლუგუნი და უკანა მეზობელზე პირაღმა მიმაგდო, სწორედ იმ ადგილას, სადაც წელის ქვევით „რბილი“ იწყება.

აქ მე ოფლში გავიწურე.

წინა მეზობელმა დედაკაცმაც ტორო იხელთა, გადამკრა წელის ქვევით მიიწ-მოიწია და რბილად დაბრძანდა.

აი, აქედან იწყება ჩემი ოხ!

„მშვიდობით ცოლო და შვილო“! — ვამბობ გუნებაში.

—:—

შემდეგ დადგა სუნი.. სუნი რძის... სუნი — ვინ მოსთვლის რა სუნი და რის სუნი!

— ქვეყნად სხვადასხვა გვარი სუნი იცის! — ერთხელ ოდესღაც მეუბნებოდა კარგი ადამიანი, რომელიც თავის დროს ართაყისგან მოკვდა.

მართალიც: ქვეყნად სხვადასხვა სუნი არსებობს... განსაკუთრებით ვაგონში და განსაკუთრებით, როცა ჟურნალისტი დასასვენებლად მიემგზავრება.

მე დამაჯდა ალბად საშუალო გლეხის ქალი, თორემ კულაკის ცოლს ვერ გაუძლებდი, ალბად, ღარიბისგან უფრო ძლევამოსილი ვიქნებოდი.

ჩუმად ვკვნესოდი და თან სათუთად ჩემის ფიზიონომიით უკანა მეზობელს ვეკვრებოდი, საშუალო გლეხის ქალი კი იჯდა ჩემს მუცელზე და განცხრომით „სემიჩკას“ კვნეტდა და აფურთხებდა

ვაგონის გარედ კი ველი მწვანედ ბიბინებდა, ტოროლა გალობდა, ყანა შრიალებდა...

აქ კი, შიგნით, (პირდაპირ საშინელებაა!) ქალების სიმძიმე აუტანელი, თუნდაც რომ ანგარიშში არ ჩააგდო მათი ბარგი - ბარხანის სიმძიმე.

გლეხობასთან ასეთი დაძმობილება კარგა მანძილზე გაგრძელდა.

მუდამ ვიგონებდი ვიღაცის ბრძნულ სიტყვებს!

— გლეხობას მოხერხებით უნდა დაუახლოვდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალაჰმა უწყის, რა გამოვა!

სამართლიანი სიტყვებია. მართლაც უნდა „დაუახლოვდე“ და ისიც „მოხერხებით“.

მე კი გავერთხე გლეხების ქვეშ, და უნდა ვაღიარო, გავერთხე მეტად უხერხულად.

აკი ამიტომაც დაკავშირების და დაძმობილების მაგიერ, შედეგად მივიღე ოხ!

—:—

მესამე სადგურის შემდეგ ამომხდა სიხარულის ოხ!

აშრიალდნენ კაბები.

ჩემი სხეული განთავისუფლდა.

ვაგონის მაღლა საჯდომიდან ვიღამაც ისკუპა და ჩემს წელს დაახტა — ვაი, ვაი, ჰაქებო!

ვიღამაც თავზე მტაცა ხელი და ყვიროდა: ფუ დალახვროს, ჩემი ქოთანი მეგონაო!

დავხუჭე თვალები, ნათლად წარმომიდგა, თითქოს სამხრეთ - ამერიკაში ვეგდე და ჩემზე ბიზონების ჯოგი გადარბოდა.

იმის შემდეგ კიდევ კარგა ხანი მოუნდი მგზავრობას, რომ ბოლოს დამენახა ამწვანებული ველი, მობრიალე ყანა. ლურჯთვალება ყვავილები თავებს მიფანტურებდნენ:

— აა, მობრძანდით?

რას დამცინიან — ვფიქრობ ჩემს გულში — ჰო, მოვბრძანდი! მერე რა მოხდა? მხოლოდ გვერდები მტკივა...

—

ვაგონში ერთი მოხუცი — ლოდარია.

თვალს არ მაშორებს.

ვატყობ ჩემთან ჰსურს აჩიფჩიფება. ბოლოს გაბედა:

— თქვენ როგორ ჰფიქრობთ, ურწმენოდ შეიძლება ცხოვრება?

მე ჩემს ჰაქებზე ვფიქრობდი, ინგლისის ულტიმატუმზე, ტარიფის გადიდებაზე.

— შეიძლება! — წავილუღლუღე.

მოხუცი მიტრიალდა და შემომიბუზღუნა:

— ისემც მიაკვდები შენს პატრონს!

### ესეც სოფელია

ოხ, კარგია სოფლად!

ფანჯრის წინ ჰყვავის ალუბალი, იმას იქით ბაღი, ბაღს იქით ბოსტანი, ბოსტანის იქით ყანა, ყანას იქით კვახები, კვახებს იქით კარტოფილი, კარტოფილს იქით კი „საჭირო ალაგი“.

ყველაფერი ერთად. ყველაფერი იზრდება და ჰყვავის. შრიალებს. სურნელება ტრიალებს.

ოხ, კარგია სოფლად!

იცით, რა არის სოფელი?

სოფელი არა თეზისებიდან, ან და მაზრის კომისრების მოხსენებიდან, არც თემ - საბჭოების განმარტებიდან, არც ოფიციალური სოფელი, უბრალოდ — სოფელი!

როგორც მედიცინაში ამბობენ: per se (ბუნებრივად).

აი ასეთი per se სოფელს იცნობთ?

ოხ, რა კარგია, კარგა სოფელი!

აქ არც სიგრძეა, არც სიგანე. ახ-

---

*) მოთხრობა ეკუთვნის უკრაინის მწერალს ოსტაპ ვიშნიას. უმთავრესად ოსტაპ ვიშნიას კალამს ეკუთვნის სატირული მოთხრობები, რომელთაც დიდი სახელი მოუხვეჭა უკრაინის მკითხველ საზოგადოებაში. მისი ნაწარმოები იბეჭდება მილიონობით. მისი ენა ხალხურია, უფრო გლეხური, თითქმის ძნელად სათარგმნი. მოთხრობაში მოცემულია თანამედროვე უკრაინის სოფლის სურათები.

ველ პატარა გორაკზე და ყველაფერი შემოფარგლულაა!

პირდაპირ შკოლა. შკოლის იქით ალმასყოში, იქვე გვერდით ცხოვრობს სტარჩიხა, ოდნავ ნათლია დომნა, შუაში მოედანი და მოედანზე ღორები.

სოფელში მზე ამოდის აღმოსავლეთიდან და ჩადის დასავლეთით.

როდესაც გინდა ისადილო, მზეს შეხედავ:

— ო, ო, მზე ძალიან მაღლა წამოსულა!

და მიუჯდები სუფრას.

წარმოიდგინეთ, სოფელში მზე ძალიან მორჩილი და გამგონია: არც აჩქარდება და არც დააგვიანებს. სწორედ იმ დროს არის შუადღე, როცა სადილობას დროა.

ცხოვრობენ სოფელში ადამიანები და ყველანი თავიანთ თავს უკრაინელებს ეძახიან. გამოტეხით რომ გითხრათ, მცხოვრებლები პუჟყიანები არიან. 800 უკრაინელის გარდა არის კიდევ ერთი გოგო, რომელსაც რუსს ეძახიან. ამასწინად სარატოვის გუბერნიიდან მოსულა. ნაციონალური შუღლი არ შემიმჩნევია: სძინავს ადგილობრივ ყმაწვილკაცებთან, სძინავს მაგრად, დაშვეიდებით, დარწმუნებით და სძინავს ყოველ ღამეს და იმდენი სძინავს, რომ აქაურები ამბობენ: „თეთრად მისი სარეცხი, ეგ ქაჯი მთელ ღამეს ხითხითებსო!".

მოსახლეობა ინკუბატორებში არ მრავლდებიან. შესანიშნავი შედეგია. მატრონას ჰყავს ვასილიოკი, ქსენიას — გაშკა, დარიას — მიტროფანე; ეს სულ ერთის კვირის განმავლობაში.

---

მოსახლეობა მართლმადიდებელია. ეკლესიაში დადიან, თუმცა ეტყობა ახალ ამბებს გავლენა მოუხდენია.

ხანდახან ადგილობრივი საბაბიც თავდაყირა აყენებს მამაპაპურს, ძველის ძველს, მაგარს, როგორც მუხას, ეკლესიურ ტრადიციებს.

აი, მაგალითად, რელიგიური უბედურება:

ადგილობრივი ხუცესი ხილით გამძღარიყო და გაბერილიყო, თუმც ქარს უშვებდა, მაგრამ ღვთისმსახურება აღარ შეეძლო და სახიფათოც იყო.

ამაზე ატეისტები ამბობდენ:

— რა უყოთ, რომ ხუცესი გაიბერა, ცოლმა სწიროს. სულ ერთი არ არის? ამდენი ხანია ხუცესი ცოლთან ცხოვრობდა, განა თავის სიწმინდეს არ გადასცემდა?

— ეს ასეა, მაგრამ...

მეორენი ეუბნებიან:

— დედი, შენი ქმარი „განახლებულებს" მიემხროს.. ისინი ხილით ჯერ არ გაბერილან!.

ღელავს მრევლი.

---

საპირველმაისოდ მორთულია სოფელი.

„ჰხედავ, ჩვენ რა ბიჭები ვართ!".

მაგრამ რაკი კვეხნაზეა — ბარემ ღირდეს.

— ჰხედავ, ჩვენ ტრიბუნალიც გვაქვს!

თუმცა ყველგან ამ „ტრიბუნალს" ჩვეულებრივ ტრიბუნას ეძახიან, მაგრამ ჩვენში ტრიბუნალია. მაგრამ ეს არაფერი! ჩვენ ეს გვჭირდება.

თუმცა ამ „ტრიბუნალს" ცალი ბოძი ვიღამაც გამოაცალა და წაქცევაზეა, მაგრამ დანარჩენი სამი ბოძი ამაყად მოწმობს, რომ პირველ მაისს ჩვენი სოფლის მოედანზე რევოლიუცია გამარჯვებულია.

— საძაგლები არიან ჩვენი სალახნები. არ იციან თავის შეკავება და ბოძი მოიპარეს... თუმცა ის ბოძი შესანიშნავი რამ იყო. ძვირფასი მასალა — პოდა, ალბად ამიტომაც თავი ვერ შეიმაგრეს.. ასე, ჩემო ძმაო, ჩვენ კაცთან ხუმრობა არ გამოგადგებათ. თქვენ, აბა, რა იცით, მემრის პირველ მაისობისთვის თუ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისთვის ისეთს „ტრიბუნალს" ვტკეცავთ, რომ თქვენს ცენტრში სიზმრადაც არ მოგელანდოთ!

მაშ, იცის ბიჭმა!

—:—

ჩვენში ყველაფერი მყუდროდ არის. ვხნავთ, ვთესავთ და ვნაყოფიერდებით, როგორც ყოველი მართლმადიდებელი.

ერთის სიტყვით ვცხოვრობთ.

თუმცა ძალო სტარჩიხამ — აი, იმ ძალომ, რომელიც გზის პირას ცხოვრობს, მამალი რომ ჰყავს ყელმოტყლეპილი, ამან მუხლიკვრებზე დაიკრა ხელები:

— ღმერთმანი, გახაფხულამდე თან გადავყვები...

— რა დაგემართა ძალოაჩემო!

— ოხ, ვერ ავიტან ბავშის დაღუპვას!

— ვისი ბავშის?

— ჩემი ქალიშვილას. უთუოდ დანავსეს. როგორ ვუფრთხილდებოდი. ჩვიდმეტის წლისა შესრულდა და გარედ არ ვუშვებდი..

— ალბად, გარედან შიგნით მასთან მოცოცდა.

—ალბად! ალბად! მახსოვს, შობის წინ ოთახში გაქიველ წამოხტა: „რა დაგემართა?" ვეკითხები. „დედი( რაღაცა შეტოკდაო" და თვითონ გაფითრდა, ნაცრისფერი დაედო... მას შემდეგ ვაკვირდები და მძიმდება და მძიმდება... ოჰ, ვერ გადავიტან, ვერა...

— არაფერია, ძალო, ბებია იქნები!

— ოხ, ვერ გადავიტან!

ჰხედავ, ჩვენში როგორ ხდება. უცბად, არ ელოდები და ბავში დაიჩხავლებს!

—:—

როგორ არ შეგიყვარდეს სოფელი ასეთ საიდუმლოების და სიუрპრიზების გამო?

აი, ეხლა გორაკზე ვარ ალუბლის ქვეშ წამოწოლილი. თქვენ რა იცით ამ გორაკის ქვეშ რა არ იმალება. ვინ იცის იმდენი სიმდიდრეა, რომ თმა ყალყზე დაგიდგეს; ვინ იცის, იქნებ ისე ამოხეთქოს ნავთის შადრევანმა, რომ კერზონიც კი შეაშფოთოს. გადაბრუნდეს და მოკვდეს.

ან და უცქირეთ, აგერ, ფეხშიშველი ბიჭი ხბოს რომ კუდზე დასჭიდებია. ჩამოწეწილი პერანგი რომ აცვია. თავზე რომ არაფერი ჰხურავს... დაგლეჯილ შარვლიდან რომ ყველაფერი უჩანს...

ვინ იცის, მაგ ბიჭიდან რა კაცი დადგეს?

შესაძლებელია, მომავალში „იზვესტიას" რედაქტორად აირჩიონ ან და მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარედ; რომელიც ჩაჯდება სარედაქტორო დივანში და თქვენს ხელნაწერს, როგორც უვარგისს, უკან დაგიბრუნებს.

ყველაფერი შესაძლებლობა სოფლიდან არის და ამიტომ უნდა გვიყვარდეს სოფელი.

სოფელს ჯერ კიდევ სძინავს, ჰაწას სჩიჩქნის და ხბორებს დასდევს.

გააღვიძეთ სოფელი!

სკოლებს შუშები ჩაუსხით და შკაფები წიგნებით აავსეთ, სადაც ეხლა თაგვები დარბიან.

მაშინ იმ ფეხშიშველა ბიჭისგან უთუოდ გამოვა ვალერიან პოლიშჩუკი, ან და პაოლო ტიჩინა*).

---

*) თანამედროვე უკრაინელი პოეტები არიან.

# არქეოლოგიური გათხრები სვანეთში

მიმდინარე წლის ზაფხულში სოფ. იფარში ვცხოვრობდით. ეს სოფელი მოთავსებულია ცხენის წყლის ვიწრო ხეობაში, მდინ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, სვანეთის სამაზრო ცენტრიდან — მესტიიდან 60 კილომეტრის მანძილზე.

ამ სოფლიდან ერთი კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთით, იქ სადაც მდ. ენგურს სამხრეთიდან ერთვის მდ. ხელედურა, მდებარეობს ერთი მაღლობი, სადაც, სხვათა შორის, სპორტიკის თლილი ქვისაგან აგებულია პატარა ტაძარი. ამ ადგილის აღმოსავლეთ მხარეზე, მთიდან მომდინარე კლდიანი ღელიდან მდინარე ხელედურას ჩაუდის კლდე, რომლისაგანაც შექმნილია სრული სიმაღლით 100 საჟენამდე ხრამი. დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით გლეხებს ზოგიერთ ადგილას გაუკაფავთ ტყე და სახნავად გადაუქცევიათ.

როდესაც შემთხვევით ამ ადგილზე მე ვსეირნობდი გავიგე, შევამჩნიე უამრავი თიხის წილები და ნაშკიდურა, როგორც მიწის ზედა ფენაზე დაყრილი, ისე მიწაში შერეული. ამ გარემოებამ ძალიან დამაინტერესა და შევუდექი ამ ადგილის დეტალურად დათვალიერებას, რომლის დროსაც გამოირკვა შემდეგი: ოცდა ათი წლის წინად ს. ლახამულიდან ს. იფარში გადმოსახლებულ გლეხებს ზემოდ დასახელებულ ადგილას ტყეში გაუკაფავთ 4-5 ჰექტარამდე ყანები. ყანების ხვნის დროს ყოველწლივ მიწის წიაღიდან ამოდიოდა უამრავი თიხის ჭილები, ნაშკიდურა და სხვა საგნები. ამგვარად მთელი ეს ადგილები ამ 4 ჰექტარის მანძილზე მოფენილია ამ საგნებით.

საღამოს სოფელში რომ დავბრუნდი, მოვუყარე გლეხებს თავი და შევეკითხე დაწვრილებით იმის შესახებ, თუ ვის, როდის და სად რა უნახავს ზემოაღნიშნულ ადგილებში. გამოირკვა, რომ ყოველწლიურად ხვნის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის გულიდან ამოდიოდა სხვადასხვა ლითონის და რკინის საგნები, მძივები, ჭილები, ნაშკიდურა და სხვა.

ერთმა გლეხმა, ი. ჭკადუამ განაცხადა, რომ 1918 წელს, როდესაც ის ყანას ხნავდა, ხარს მიწაში ჩაუვარდა უკანა ფეხი. მიზეზის გასაგებად მან გამოუჭრა ერთსაჟენიანი კეტი და ჩაუსვია იქ, სადაც ხარს ფეხი ჩაუვარდა. ეს კეტი მთლად დაფარულა მიწაში. ამიტომ კიდევ მოუჭრია მეორე ორსაჟენიანი კეტი და ისიც ამ ადგილას ჩაუსვია. მაგრამ ისიც მიწაში ჩამალულა და ორივე შიგ ჩაუტოვებია და ზევიდან მიწა გადაუყრია.

მეორე დღესვე წავიყვანე ოთხი კაცი ამ ადგილას გათხრების მოსახდენად. რამოდენიმე საათის მუშაობის შემდეგ ჩვენ მივაგენით ზემოხსენებულ ჭკადუას მიერ მიწაში ჩასობილ ორ ჯოხს და აღმოჩნდა, რომ ამ ადგილას ოდესღაც ყოფილა გაკეთებული სამჭედლო, რომელშიაც სხვათა შორის, ვნახეთ ერთი თიხის ქოთანი, თვით მადანი, რომელსაც მათში ამუშავებდენ, ნახშირი, ნაშკიდურა, ჭილები, რკინის საგნები, მძივები, ემალის ნამტვრევები და კალაპოტში ჩამოსხმული წონით 5-10 გირვანქამდე, მადნეულობისაგან გადადნობის შემდეგ დარჩენილი ჯერ ჩვენთვის გაურკვეველი შემადგენლობის ნივთიერება. ნახშირი, ნაშკიდურა და ჭილები ერთმანეთში შერეული აქ ადგილებში ყრია 1 საჟენის სიღრმეზე, შემდეგ ჩნდება ნამდვილი ადგილობრივი მიწა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭილები სიგრძით 1 არშინზე მეტი არ გვინახავს. ამ ჭილების ის ნაწილი, რომელიც საბერველისაკენ ყოფილა, ცეცხლისაგან დაუზიანებელი დარჩენილა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ცეცხლისაკენ ყოფილა, დამწვარი აღმოჩნდა, მათში შიგ ნაშკიდურა შესული. გარშემო ამ ჭილებს ნაშკიდურა შედუღებოდა ალბად, ამის გამო უვარგისი ხდებოდენ და მათ ყრიდენ გარეთ. უთუოდ ამით აიხსნება მათი სიმრავლე ამ ადგილებში. ამ ადგილებიდან აღმოსავლეთით 50 საჟენის მანძილზე არის ზემოხსენებული ხრამი, სადაც შევამჩნიე ძვლები 1 ნახევ. არშინის სიღრმეზე მიწაში დამარხული. შევუდექით ამ ძვლების ამოთხრას და აღმოვაჩინეთ რამდენიმე საფლავი, სადაც ადამიანების ძვლების გარდა დამარხული იყო აგრეთვე ცხენებიც რკინის დიდი ლაგამებით პირში, რკინის უზანგებით და სხვა ნაწილებით, რახტებით, ვიპოვეთ აგრეთვე ჭურის და დოქის ნამტვრევებიც და სხვა საგნები. ნაშკიდურა ჭილები და ნახშირი ერთმანეთში შერეული აქაც ერთი საჟენის სიღრმეზეა.

მინდოდა გათხრები უფრო ღრმად მეწარმოებინა, მაგრამ ამისათვის ნივთიერი საშუალება არა მქონდა. ამიტომ მივმართე სვანეთის მაზრაღმასკომს შემწეობისათვის. აღმასკომმა მხურვალე თანაგრძნობით შეხვდა ჩემს თხოვნას და გადმომცა 200 მანეთი გათხრების გასაგრძელებლად.

ამის შემდეგ საშუალება მომეცა გამედიდებინა მუშების რიცხვი და უფრო სერიოზულად შევსდგომოდი მუშაობას. ათი კაცით სამი დღის მუშაობამ მოგვცა შემდეგი შედეგები: სხვადასხვა ადგილას აღმოვაჩინე ოთხამდე სამჭედლოს ნანგრევები. ერთში ქვიშა მადნისაგან გამოდნობილი კალაპოტში ჩამოსხმული, წონით 5—10 გირვანქამდე, ანალიზით მაგნიტის რკინად ცნობილი ნივთიერება, მის ჩამოსასხმელად ქვისაგან გაკეთებული სხვადასხვა ზომის კალაპოტები, ხოლო დანარჩენებში—ჭილები, ნახშირი, ემალი, დაუმუშავებელი მადანი, მძივი და სხვა ერთმანეთში შერეული.

აღმოვაჩინე ისეთი ადგილიც, სადაც 10-15 საჟენის სიგრძეზე, ოთხი საჟენის სიგანეზე და ერთი საჟენის სიმაღლეზე, მხოლოდ ჭილები აწყვია. ჩემის აზრით, ამ ადგილის თავში [illegible] ქარხანა და აქედან უნდა იყოს გადმოყრილი ეს ჭილები. ამიტომაც აქ შუა ადგილას ჩავჭერი მიწა 1 ნახ. საჟ. სიღრმეზე და 4 საჟ. სიგრძეზე. ასეთი ზომის იმ მოსაზრებით მივმართე, რომ აქედან ზემოხსენებულ ჭილებიდან ადგილის თავამდე გამეთხარა მიწა და მისი თავი გამომენახა.

სწორედ ამ ადგილას ერთი საჟენის სიღრმეზე მიწა რომ გავთხარე, აღმოჩნდა ვერტიკალურად მიწაში აღმართული ქარხნის მილი, რომლის დიამეტრი 1 არშინს უდრის. ეს მილი გარშემო ქვის კედლებით არის ამოშენებული. მილსა და კედლებს შუა აყალო მიწა აყრია 1 ნახ. არშინის სისქეზე. ცეცხლისაგან მილი შიგნით ძალიან დამწვარია. მის გარშემო დაყრილი მიწაც ძალზე გაწითლებულია. მილი ერთი მხრიდან გათხრის დროს უცაბედად გატყდა, ამიტომ საშუალება მქონდა მისი სიმაღლე გამეზომა კეტით. კეტი ავიდა ზევით 1 ნახ საჟენის სიმაღლეზე, ე. ი. იმ ადგილამდე, სადაც მის თავზე ტყეა ამოსული.

ამ საინტერესო ნაშთის ნახვის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ აქ მეტი სიფრთხილე და სერიოზული გათხრები იყო საჭირო სპეციალისტების ხელმძღვანელობით, ამიტომ შევაჩერე მუშაობა და დეპეშებით ეს ამბავი ვაცნობე როგორც საქ. სახკომსაბჭოს, აგრეთვე საქართველოს მუზეუმს და ვსთხოვე დახმარების აღმოჩენა როგორც ნივთიერად, ისე სპეციალისტების გამოგზავნით. ჩემი შუამდგომლობა ჯერ-ჯერობით უშედეგოთ დარჩა, მაგრამ მომავალ ზაფხულში იქ გათხრების ჩასატარებლად იგზავნებიან სპეციალისტები. იმედია ამ საინტერესო საქმეს სერიოზული ყურადღება მიექცევა და მომავალი კვლევა-ძიება გამოამჟღავნებს სვანეთის ბუნების დღემდე ბურუსში გახვეულ საიდუმლოებას.

დ—რომშა

## წირმინდის გათხრები

იფარის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაინახა, რომ მე ძველი ნაშთების აღმოჩენით დაინტერესებული ვიყავი და ამიტომ ბევრი მათგანი მოდიოდა ჩემთან და მაძლევდა ცნობას, თუ ვის, სად და როდის რა უნახავს ან რა სმენია ამ საქმის შესახებ.

სხვათა შორის, ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა სეითბე ჭკადუამ მიამბო, რომ ორი წლის წინად, როდესაც წირმინდის უდაბურ ტყეში ერთი გლეხი, ახა ჭკადუა თხების საძებრად ყოფილა წასული, ამ დროს ქარს წაუქცევია ნაძვის დიდი ხე, რომლის ფესვებს ქვეშ თურმე აღმოჩნდა საფლავი, რომელშიაც სამი ადამიანი ესვენა. ამ ადგილიდან დასავლეთით 30 საჟენის მანძილზე უნდა იყოს ტაძრის და სხვა ნანგრევები.

ამ ამბავმა ძალიან დამაინტერესა, მოვძებნე ხსენებული ახა ჭკადუა, გამოვკითხე ყოველივე და ოთხი კაცით ჯორყვალიდან წირმინდისკენ გავეშურე.

აქ, ერთ სრულიად მიუდგომელ უდაბურ ტყიან და კლდოვან ადგილას 10 წლის წინად ოთხ გლეხს: გრიგოლ, ალექსი, მიშა და გიო ჭკადუებს დაუკაფავთ ტყე, გაუკეთებიათ ყანები, აუგიათ ხის სახლები და დასახლებულან.

წარმოუდგენელი იყო ჩემთვის ამისთანა ადგილას ადამიანის ცხოვრება და ამ სოფლის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. წარუშლელი იქნება ჩემს მეხსიერებაში ამ ოთხი გლეხის ყოფა-ცხოვრებიდან მიღებული მძიმე შთაბეჭდილება.

ეს ადგილი ყოველმხრიდან გარშემორტყმულია უდაბური ტყეებით და გრანდიოზულ ლოდ-კლდეებით. ბუნება აქ მეტად მკაცრია და ეს ოთხი ოჯახი მოწყვეტილია ქვეყნიერებას არა მარტო ზამთრობით, არამედ ზაფხულობითაც.

ადგილმდებარეობის საფუძვლიანად დათვალიერებით და ამ ოთხი გლეხის დაკითხვით გამოირკვა, რომ შორეულ წარსულში აქ ხალხი ყოფილა დასახლებული, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ხუთმეტამდე სახლის დღემდე დაცული ნანგრევები, რომლებისაგან შენახულა საძირკვლები, ხვნის დროს მიწის გულიდან ამოსული ხელის წისქვილები, ქვევრებისა და დოქების ნამტვრევები და სხვა.

ამავე ადგილას დღემდე შენახულან მსხლისა და ვაშლის დიდი ხეები, რომელთაც სხვაგან მის გარშემო მდებარე ადგილებში ვერსად ვერ ვხვდებით.

გადმოცემით, ძველ დროში აქ უნდა ყოფილიყვნენ დასახლებული დღევანდელი



ძორაგესის მშენებლობა სომხეთში



საქ. ს.მ.უ.ს. ლითონტრესტი შეუდგა თბილისში დიდი მექანიკური ქარხნის აგებას. ქარხანა დაამზადებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს.

---

სოფ. ლამსყადლის მცხოვრებთა წინაპრები, რომლებისათვისაც მტერს მუსრი გაუვლია. შემთხვევით გადარჩენილა ამ დროს სანადიროთ წასული ერთი მონადირე, წინაპარი დღევანდელ ლამსყადლელებისა, ამიტომ, როდესაც 1918 წ. წირმინდში ზემოხსენებული ოთხი გლეხი დასახლებულა, სოფ. ლამსყადლის მცხოვრებლებს მათთვის დავა აუტეხიათ.

აი ამ ადგილიდან 200 საჟენის მანძილზე დასავლეთით უდაბური ტყით დაფარულ ფერდობებში არის ის ხე, რომელიც, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ქარს წაუქცევია და მის ქვეშ სიფლავი აღმოჩენილა. მეორე დღესვე დილით ადრე წავედით ამ ადგილის სანახავად და მალე კიდეც მივაგენით.

ამ ადგილას, სადაც ქარისაგან წაქცეული ზემოხსენებული ხეა, ტყის ფერდობში არის ვაკე ადგილი — ით კვადრატულ საჟენამდე, ეს ხე ყოფილა საფლავზე ამოსული და ამიტომ მის წაქცევის შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანის ძვლები და თავის ქალა. სწორედ ამ ადგილიდან დავიწყეთ გათხრა. მე შევუდექი ამ ადგილების დეტალურად დათვალიერებას. მუშებმა მალე მიაგნეს საფლავს, სადაც სამი კაცი ერთად იყო დამარხული, მაგრამ ძვლები სიძველის გამო იდუშენებოდნენ და მიწიდან მათი მთლიანად ამოღება შეუძლებელი შეიქნა.

ამ ადგილიდან აღმოსავლეთით ხუთი საჟ. მანძილზე დიდი ხეების ფესვებს ქვეშ შევამჩნიე კედელი, მივიყვანე აქ სამუშაოთ ორი კაცი და აღმოჩნდა, რომ ეს იყო ოდესღაც აქ აგებულ ტაძრის ნანგრევებისაგან დარჩენილი საძირკველი. სიგრძე ამ კედლისა, ანუ ტაძრის ნანგრევებისა, არის 13 არშინი, სიგანე 8 არშინი, სისქე (კედლის) 1 ნახ. არშინი. კედლები ქვითკირისაა.

აღმოსავლეთის ნაწილი კედლით არის გატიხრული. ეტყობა, ეს უნდა ყოფილიყო ტრაპეზი. მისი კედლების გარეთა ნაწილი ქვითკირისაა, შიგნითა კედელი კი აგურისაა და მათ შუა ჩასხმულია კირის ხსნარი. ამ კედლის შიგნით არის კიდევ ქვის კედელი, შემდეგ ისევ აგურისა, შუაში კირის ხსნარით ამოვსებული. მთავარი ყურადღება დავუთმე ამ ადგილის გათხრის წარმოებას, რამაც მოგვცა ასეთი შედეგი: როდესაც ამ ოთხ კედელს შიგნით მიწა 12 არშინის სიღრმეზე გავთხარეთ, აღმოჩნდა აგურის იატაკი, კირის ხსნარდასხმული. შიგ ყოფილა დამარხული ორი ადამიანი. მათი ძვლები დაფერფლილია და მხოლოდ თავის ქალის ზოგიერთი ნაწილი და კბილები შენახულა. ვნახეთ ორი პატარა ვერცხლის ჯვარი და ორი დანა. მიწის სიმაღლე იატაკიდან არის 2 ნა[illegible] არშინი. იგი შესდგება სამი ზოლისაგან: ქვედა და ზედა არის კვერცხის გულისებური ყვითელი მიწა ხუთი ვერშოკის სისქეზე, შუათანი შავი ადგილობრივი მიწისაგან შესდგება და 4 ვერშოკის სისქეზეა. ზედაპირიდან 1 არშინის სიღრმეზე არის აგურისა და ქვისაგან კირის ხსნარით ნაგები კედელი. მასზე ამოსულია დიდი ფიჭვის ხეები, ეტყობა, აქ დამარხული ყოფილა ვინმე საპატიო პირები.

ამ შენობის ნანგრევების გარშემო წარმოებულმა გათხრამ დაგვანახვა, რომ მის აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით ყველგან მიცვალებულები ყოფილან დამარხული. მათ დასამარხავად ზოგან აგურის კედლებისაგან აკლდამები ყოფილა გაკეთებული, ზოგან უბრალო საფლავები შიგნით აგურის კედლებით ამოშენებული, ზევიდან აგურით გადახურული და კირის ხსნარი ჩასხმული. ამ საფლავებში ზოგში ესვენა სამ-სამი, ზოგში ოთხ-ოთხი კაცი და სხვ.

ტაძრისაგან შექმნილ რკინის დანებს თითქმის ყველა საფლავში ვპოულობდით. ზოგიერთ საფლავში მიცვალებულთა თავქვეშ ირმისა და ჯიხვის რქები [illegible] ამოლაგებული. ზოგიერთებში კი [illegible] და [illegible], ნაწილები დამპალი იყო და ძვლის ნაწილები კი შენახულია. ეტყობა, ესენი მონადირეების საფლავები ყოფილან. ზოგან ვნახულობდით აგრეთვე თიხის ჭურჭლის ნამტვრევებს. ალბად, ეს იმით აიხსნება, რომ თავის არაყით სავსე დოქებს სვანები ჩვეულებისამებრ კუბოში ჩაუდგამდენ ხოლმე მიცვალებულს იმ მოსაზრებით, რომ საიქიოს დალიოს.

რამდენიმე თავის ქალას, სხვა ძვლებისა და კბილების მიწიდან მთლიანად ამოღება შევძელი და ისინი საკმაოდ დიდნი არიან. სასაფლაოებზე ყველგან ამოსულია ბზა, რომელიც სხვაგან ახლო-მახლო არსად არ მოიპოვება. აგური, რომელიც აკლდამების კედლებისათვის არის ნახმარი ზომით 5 კვ. ვერშოკამდეა. ეს აგური იშვიათი ხარისხისაა. მიწა, რომლისაგანაც ეს კეთდება, აღმოჩნდა სოფ. წირმინდის თავში. უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანეთში თუ ამისთანა აგური კეთდებოდა და ხმარებაში იყო, ეს აქამდე არ იყო ცნობილი და სვანეთში იგი დღემდე არსად ყოფილა აღმოჩენილი.

ზემოაღწერილი ადგილიდან 30 საჟ. მანძილზე დასავლეთით ერთ მაღალ ციცაბო მიუდგომელ კლდეზე აღმოჩნდა რაღაც შენობის ნანგრევები. ამ კლდის სიმაღლე დასავლეთისა, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრით იქნება 250—300 საჟენი, ხოლო ჩრდილოეთის მხრით 10 საჟენამდე. მის წვერზე აგებული ყოფილა, რაღაც შენობა სიგრძით 13 არშინი და სიგანით 8 არშინი. ამ შენობის გარეთ ჩრდილოეთის მხრით კლდე გახვრეტილი ყოფილა, მასში (ალბად გასამაგრებლად) ჩასხმულია კირის ხსნარი. დასავლეთის კედლად გამოყენებულია კლდე, სადაც დირეების გასადებათ გაკეთებული და კირის ხსნარით ამოლესილი ნახვრეტები დღემდე შენახულა, აღმოსავლეთის მხრით ქვითკირის კედელი შენახულა სიმაღლით 2 არშინამდე.

ძნელი გამოსარკვევია, თუ რა დანიშნულებისათვის იყო ეს შენობა აგებული. შეიძლება ეს იყო ტაძარი, რადგანაც ცნობილია, რომ ტაძრების ასაგებად ძველ დროში ხშირად ამისთანა ადგილებს ირჩევდნენ, ან შეიძლება ის წარმოადგენდა ციხე-სიმაგრეს ამ სოფლის დასაცავად.

**ეგნატე გაბლიანი.**

(შემდეგი იქნება)



თბილისში შენდება საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ პირველი მექანიკური ლითონის ქარხანა. სურათზე ქარხნის მშენებლობა.



პიონერი ქალი აწარმოებს სესხზე ხელის მოწერას.

# ფიზკულტურა და სპორტი

## ფეხბურთი

### გერმანიის მუშათა ნაკრები გუნდი თბილისში

15 სექტემბერს, თბილისში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა ნაკრები გუნდი 18 კაცის შემადგენლობით. აღნიშნულმა გუნდმა თბილისში ჩაატარა ორი შეჯიბრება: მელითონეების და ტრანსპორტელების პირველ გუნდებთან.

პირველ შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართა 17 სექტემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე, სტუმრებთან თამაშობდა მელითონეების პირველი გუნდი. თამაშის დაწყების წინ სტადიონზე გაისმა ინტერნაციონალის ხმა, რასაც სტუმრები აღფრთოვანებით შეეგებნენ. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს გერმანიის და თბილისის ფიზკულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

პირველი შეჯიბრება დამთავრდა გერმანელების დამარცხებით 0:1.

პირველ შეჯიბრებასთან შედარებით, უფრო საინტერესო გამოდგა ტრანსპორტელების და სტუმრების თამაში. ტრანსპორტელებმა ამ შეჯიბრებაში გამოიყენეს თავის საუკეთესო ძალები. ტრანსპორტელების ეხლანდელი შემადგენლობა ძლიერ განსხვავდება იმ შემადგენლობისაგან, რომელიც მათ გაზაფხულის სეზონში ჰყავდათ. გუნდში თამაშობენ: ასლამაზოვი („დინამო"-დან), მატიენკო (მელითონეების გუნდიდან) და სხვ. ტრანსპორტელების გუნდის ეხლანდელი ტექნიკა და კლასი ბევრად განსხვავდება იმ ტექნიკისაგან და იმ კლასისაგან, რომელიც მათ შარშან ჰქონდათ და ამით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ტრანსპორტელების გუნდი ძლიერი პრეტენდენტია პირველ ადგილზე. გერმანელების და ტრანსპორტელების შეჯიბრება დათავდა 2:2.

სტუმრების გუნდში თამაშობდნენ: ვილლე, გამშა, კრამერი, რანკო, ფრეტნერი, შვარცი, მაიერი, გრასსე, დოუდე, შილი, შარიპოაიბე, რიშტა, ახციში, გოფმანი.

მელითონეების გუნდში შედიოდენ: დ. ცომაია, ნიკოლაიშვილი, ანთიძე, სიხარულიძე, სუშკოვი, გორევი, ბელიაენკო, მესხი, იამაშვილი, კლოცი და გაჩაშვილი.

ტრანსპორტელებში თამაშობდენ: სალონინი, ფაჩულია, მატიენკო, რამიშვილი, იმნაძე, კარტოშევი, ასლამაზოვი, მალალაშვილი, ოსტროუხოვი, ხეროპრენკოვი და დიაკოვი.

გერმანიის ნაკრებმა, რომელმაც თბილისში ჩაატარა 2 შეჯიბრება, საერთო ჯამით წააგო. 2:3.

სტუმრების გუნდში აღსანიშნავი იყო მარჯვენა და მარცხენა გარე მარბის, ცენტრის და დამცველების მოხდენილი თამაში. თბილისიდან კარგად თამაშობდენ: სალონინი, დ. ცომაია (მეკარეები), ანთიძე, ნიკოლაიშვილი, ფაჩულია (დამცველები) სიხარულიძე და რამიშვილი (ნახევრები).

გერმანიის მუშათა ნაკრები გუნდი 19 სექტემბერს, საღამოს გაემგზავრა ერევანში, სადაც ჩაატარებს ერთ შეჯიბრებას. გამომშვიდობების დროს ქ. ბერლინის მუშამ ლინკოლმ (ზეინკალი) გუნდის სახელით ულრმესი მადლობა უძღვნა თბილისის ფიზკულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლებს

—:—

### კრასნოდარი—თბილისი

თბილისის სასპორტო საზოგადოებამ „დინამო"-მ ორ ამხანაგურ შეჯიბრებაზე მოიწვია კრასნოდარის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო" პირველი.

კრასნოდარის დინამომ თბილისში ჩაატარა ორი ამხანაგური შეჯიბრება: პროფკავშირების ნაკრებ გუნდთან და დინამო პირველთან.

კრასნოდარის გუნდში შედიოდენ: შულიაკა (მეკარე), მალახოვი, კისლოვი, დარადუბოვი, აპაევი, გრიგორენკო, გრიხინ, ბალუდლია, ბოვალსკი, შპაკი და კანტიმიროძე.

ნაკრებ პროფკავშირებში თამაშობდენ: სალოხინი, ნიკოლაიშვილი, რამიშვილი, სიხარულიძე, იმნაძე გონელი, ბელიაენკო, მესხი, დიაკოვი, კოცი და სომოვი.

დინამოში შედიოდენ: ბალდუროვი, ფაჩულია, ფოჩხუა, შავგულიძე, მინაევი, ფრუიძე, კასტუკოვი, ასლამაზოვი, აბაშიძე, სომოვი, გარაყანიძე.

კრასნოდარის დინამომ, რომელმაც თბილისში ჩაატარა ორი ამხანაგური შეჯიბრება, პირველი დაამთავრა 2:1-ზე (ნაკრებ პროფკავშირებთან), ხოლო მეორე წააგო 1:3-ზე (დინამოსთან).

კრასნოდარის გუნდის ტექნიკა ბევრით ჩამორჩება თბილისის ტექნიკას. ორივე თამაშის პროცესში ვერ ვითარდებოდა მათი კოლექტიური თამაში (პასიროვკა), რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თამაშის პროცესში.

მეორე შეჯიბრება, რომელიც გაიმართა კრასნოდარის და თბილისის გუნდებს შორის დიდად საინტერესო გამოდგა. ამ თამაშში თბილისელმა აბაშიძემ მეტად კარგი თამაში აჩვენა დამსწრე მაყურებლებს. გასულ წლებში თბილისი უმეტეს შემთხვევაში დამარცხებული გამოდიოდა, მაგრამ საერთო ჯამით კრასნოდართან გაიმარჯვა.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისს კვლავ ეწვია ხოპეროლსკიაჯი, რომელმაც ჩაატარა შეჯიბრება დინამო პირველ და მეორე გუნდებს შორის; თამაში დამთავრდა 0:0-ზე. გუნდში აღსანიშნავი იყო დამცველების თამაში.

ი. ბ—ი.

# „ხუთწლედი ოთხ წელში"

საქ. სახკინმრეწვი სესხის "ხუთწლედი ოთხ წელში" კამპანიასთან დაკავშირებით ამ დღეებში გამოუშვებს ახალ კინო-სურათს „ხუთწლედი ოთხ წელში", რომლის სიუჟეტი აგებულია სოფელში სესხის გავრცელებაზე. სცენარი დაწერილია სამსონ სულაკაურის მიერ. დადგმა ეკუთვნის ცნობილ მხატვარ ვ. სიდამონ-ერისთავს, რომელიც დიდი ხნის სახკინმრეწვში მუშაობის შემდეგ (დამდგმელ ნაწილში) პირველად გადაიღო კინო-სურათი

სურათი გადიღო ახალგაზრდა ოპერატორმა შალვა აფაქიძემ. მთავარ როლებში მონაწილეობენ: კოხტა ყარალაშვილი, ნიკოლოზ მამულაშვილი, შაქრო გურამიშვილი და ს. ხომაშურიძე.



კულაკის და სპეკულანტის კავშირი.

სურათის სიუჟეტი გაშლილია ქართლის სოფლის მასალაზე. აღებულია თანამედროვე ქართული სოფელი, რომელმაც უკვე გადაიტანა კლასობრივი ბრძოლა და კულაკი გაძევებულია. 2 კოლექტივი ჩაბმულია სოც.-შეჯიბრებაში და ამ ფონზე ქალაქის ბრიგადა ავრცელებს სესხის „ხუთწლედი ოთხწელში"-ს ობლიგაციებს. მთავარ აზრად გაყვანილია ის, რომ სესხი, გარდა იმისა, რომ საბჭ. სახელმწიფოს აძლევს ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის თანხებს, სოციალისტურად სოფლის გარდაქმნაში ჩაბმულ კოლექტივის წევრს აძლევს მოგებას და თავის მოგებით აშენებს კოლექტივში ახალ ხელოვნურ თონეს ძველი ძაძაპაპური თონის ნაცვლად. სურათი სავსეა კომედიური მდგომარეობებით და ადვილად გასაგები კინო-ენით არის გაკეთებული.



სხვადასხვა კადრები ფილმიდან. „ხუთწლედი ოთხ წელში"-ს

# ველურების „სილამაზის“ ნიმუშები

მშვენიერების ცნება ისევე სხვადასხვანაირია, როგორც ეპოქები, ხალხები და ქვეყნები, რომელთაც იგი ეკუთვნის. სოციალური მდგომარეობისა და რელიგიურ ცრუმორწმუნოებების გარდა დიდ როლს ასრულებს ეროტიული იდეალიც, და სწორედ ეს უკანასკნელია განსაკუთრებით ცვალებადი. ევროპაში სილამაზის წარმოდგენაზე დიდს გავლენას ახდენს მოდათა და ფუფუნების საგანთა „ინდუსტრია“, იგი განსაზღვრავს რაა მოსაწონი და რაა დასაძრახისი. ორივე სქესის ქარაფშუტები სიამოვნებით ემორჩილებიან ამ „ინდუსტრიის“ მოთხოვნილებათ. არსებითად ევროპის მოდათა მიმდევარი ქალი თუ ვაჟი, რომელიც მაღალ ქუსლებზე მიაბიჯებს, ხელის ფრჩხილებს წითლად ალაქებს, თმას იწევს და ილებავს, არაფრით არ განსხვავდება ჩინელი დედაკაცისაგან, რომელიც ხელოვნურათ ფეხს იმახინჯებს და ზანგის ქალისაგან, რომელიც ტუჩებსა და ნესტოებს იხვრეტს. დღეს ევროპაში ხელახლა მოდაში შემოაქვთ გრძელი კაბები, შლეიფები და კორსეტები, მიტომ, რომ, როგორც ეტყობა, ის რაციონალური და მარტივი ტანისამოსი, რომელიც ომის შემდეგ შემოვიდა, ხელსაყრელი აღარაა მატერიებისა და ტანსაცმელის მეფაბრიკეებისათვის. ევროპის კომუნისტური პრესა მშრომელთ მოუწოდებს წინააღმდეგობა გაუწიონ ამ ახალი მოდის შემოღებას, ან უკეთ ვთქვათ, ძველი მოდის მკვდრეთით აღდგენას, მიტომ, რომ იგი სრულიად არ შეეფერება არც თანამედროვე მშრომელი ელემენტების პრაქტიკულ მოთხოვნილებას, არც მის გემოვნებას.



„კეთილშობილი“ ჩინელის ფრჩხილები



ზანგის ქალის თმა, რომლის კულულები თიხითაა შეწებილი



შავკანიანი ქალი, ხელოვნურად გაზრდილი ტუჩები.



იაპონელები, რომელთა სხეულის კანზე ნახატებია ამოჭრილი

ხაგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“. ტფილისი, კამოს ქ. 68. მთავლიტი № 1973. ტირაჟი 6500.

7/K3
[illegible]